ლებს (იგულისხმება სომხები—გ. ყ.) ასხამდა ხოლმე ქებას. ქართველების მიმართ ძალიან გულგატეხილად მოჰქონდა თავი და თითონ ამბობდა ხოლმე, მე, ბატონებო, პესიმისტი ვარო! ნიკო ღოღობერიძე მას დაცინვით «великий пессимист»-ს ეძახდა. რა საგანზეც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, დავითი მაშინვე მეზობლებს დააყენებდა მაღლა, იტყოდა, რომ ჭკვიანი ცხოვრება იციან, ბედოვლათები და ძათხოვრები არ არიან, მუშა და გამრჯელი ხალხია, ყველა საქმეში გვჯობიან და მომავალიც მათია. ერთხელ, ნამეტანი რომ გადააჭარბა ასეთ ლაპარაკში, ილიას გული მოუვიდა და წამოიძახა: „ამისთანა გაგონილა?! ამ ოჯახში ქართველების ძაგების მეტს ვერაფერს გაიგონებ! თუ ერთი-ორი ვიღაც აწუხებს და ფულსა სთხოვს, ეს მთელ ხალხზე გადააქვსო!“ აი, მაშინ კი აუწია ხმას ილიამ, მაგრამ — მაინც ცოტა“.[1]

დღეს, ქართველთა ასეთი გულგატეხილობა-აპათიის ჟამს არ გვმართებს ერთი უკიდურესობიდან („რა ძალიან კარგები ვართ ქართველები!“) მეორე უკიდურესობაში გადავვარდეთ („რა ძალიან ცუდები ვყოფილვართ ქართველები?!“) და პირველის დამადასტურებელ არგუმენტად ილიას ნააზრევიც მოვიტანოთ. ჭეშმარიტება, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისს შორისაა და სწორედ ამგვარად იაზრებდა საკითხს ჩვენი დიდი მოაზროვნე და მამულიშვილი.

ე. იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი ერის შესახებ

დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის მიხედვით ერის ნიშან-თვისებები შემდეგნაირად წარმოჩინდება. „ბურჯი ეროვნებისა“-ში ვკითხულობთ: „ჰკითხეთ ჩვენს იღბლიანს მეზობლებს: რა გშურთ ქართველებისაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ ჯერ გაფურჩქვნილს, განვითარებულს ქართულ ენასა და მერე გაერთიანებულს, შეკუმშულს ტერიტორიასა, მიწა-წყალსა“[2]. ამრიგად, იაკობ გოგებაშვილის აზრით, უმთავრესი არის ენა და შემდეგ ტერიტორია (ამავე ნაშრომში სხვაგანაც ხაზგასმულია: „დედა-ენა, ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“[3]). სხვა ადგილას დამატებულია ლიტერატურა და „ხალხოსნობა“: „ყველა

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბილისი, 1968 გვ. 271.

[2] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, II გამ., ტფილისი, 1903, გვ. 78.

[3] იქვე, გვ. 10.

პატარა ერი, დიდს სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით“.[1] „ხალხოსნობაში“ ნაგულისხმევია რუსული „национальность“, რაც ალბათ მოცემულ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს ინდივიდის კუთვნილების შეგნებას ამა თუ იმ ერისადმი.

„ბურჯი ეროვნებისა“-ში ხაზგასმულია ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა ერისათვის. ავტორი წერდა: „ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებანი მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა — მამულის სიყვარული — და უზენაესი მიზანი — დაცვა თავისის ერის სიცოცხლისა“.[2] ამისაგან განსხვავებით, ზოგიერთი ქართველი (იგულისხმება, მაგალითად, ივანე ჯაბადარი და ნიკო მარი) „საარაკო უკუღმართობის გამო ყოველს ღონისძიებასა ხმარობს, რომ ჩვენი წარსულის ყოველი ღირსება დავმალოთ, უარვყოთ ყოველივე მისი თავისებურება და ღვაწლი, გავათახსიროთ, დავამცირეთ, მიწასთან გავასწოროთ, ამითი გამოვუთხაროთ ძირი ჩვენს აწმდგომსა (ე. ი. აწმყოს — გ. ყ.) და მომავალსა“.[3] საისტორიო შეგნების დიდი მნიშვნელობა იმაშიც ჩანს, რომ „გაბატონებულნი ერნი სცდილობდნენ დამორჩილებულ ერთათვის დაევიწყებინათ დედა-ენა, სამშობლო, ისტორია, ლიტერატურა და გადაეგვარებინათ“.[4] ამიტომაც დედა-ენისა და მშობლიური ისტორიის შესწავლის უფლებასთან ერთად დამონებული ერები ისტორიის შესწავლის უფლებასაც მოითხოვენ“.[5]

იაკობ გოგებაშვილი მკვეთრად გამოჰყოფდა ეროვნული ხასიათის დიდ მნიშვნელობას, მის განსხვავებულობას სხვადასხვა ერებში (მაგრამ ამაზე ქვემოთ).

კითხვაზე — აუცილებელია თუ არა ჩათვლილ იქნეს სახელმწიფო ერის ერთ-ერთ ნიშან-თვისებად? — იაკობ გოგებაშვილი ასე პასუხობდა: „ძველი ბერძნები ითვლებოდნენ და ითვლებიან სამაგალითო, უნიჭიერეს ერად“, თუმცა მათ ვერ შეჰქმნეს ერთიანი

[1] ბურჯი ეროვნებისა, გვ. 43.

[2] იქვე, გვ. 49.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 55.

[5] იქვე, გვ. 56.

სახელმწიფო. მაგრამ „მიუხედავად ამისა, ბერძენნი წარმოადგენდ-
ნენ ერთს დიდებულს ერსა. რადა? იმატომ, რომ ერთის ჩამომავ-
ლობისანი იყვნენ, ერთს ენაზედ ლაპარაკობდნენ, ერთი ლიტერა-
ტურა ჰქონდათ, ერთი ჰომიროსი ჰყავდათ, ერთი კულტურა შეჰქმ-
ნეს და ერთ სარწმუნოებას აღიარებდნენ“.[1] ასე რომ, თუ ერს არ
გააჩნია საერთო სახელმწიფო, მაგრამ აქვს სხვა ნიშან-თვისებანი,
იგი უთუოდ ახერხებს ერად ყოფნას, ეროს (ილიას გამოთქმა რომ
ვიხმაროთ). აქვე, როგორც ვხედავთ, წარმოჩენილია საერთო წარ-
მომავლობის მნიშვნელობა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ გერმა-
ნია დაყოფილი იყო ცალკე სახელმწიფოებად, ხოლო სარწმუნოებ-
რივად ორ ნაწილად არის გაყოფილი და ენითაც ძლიერ განირჩევა
სამხრეთი ჩრდილოეთისაგან, გერმანელები მაინც ერთ ერს წარ-
მოადგენდნენ (მანამდე, სანამ ბისმარკის დროს გაერთიანდებოდ-
ნენ). ამ შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო წარ-
მომავლობას. ამნაირადვე „ჰყავთ ყველა ქართველებს, იმერებსა და
ამერებს, ერთი მამამთავარი ქართლოსი, ერთის ტომისანი არიან.
ერთს ენაზე უბნობენ, ერთი ლიტერატურა დაჰბადეს“, აქვთ ერთი
სარწმუნოება.[2]

რუსი ანთროპოლოგოსები მიუთითებდნენ ფიზიკური ტიპის
სხვადასხვაობას ქართველთა შორის, რითაც უნდოდათ დაემტკიცე-
ბიათ ერთიანი ქართველი ერის არარსებობა. მაგრამ, დიდი ქართ-
ველი პედაგოგის მიხედვით, განსხვავებულობანი არსებობს სხვა
ერებშიც — რუსებში, ფრანგებში, გერმანელებში და სხვ. ამის
მიზეზი კი შერეული ქორწინებაა მოსაზღვრე ხალხების წარმომად-
გენელთა შორის. იგი დასძენდა: „ეს ცვლილება ნაციონალური ტი-
პისა სრულიადაც არ არღვევს ერთობას ერისასა. თუ ეს ერთობა
დამყარებულია იმ საერთო საუნჯეებზე, რომელნიც ჩვენ ზევით
ჩამოვთვალეთ“.[3] (სხვათა შორის, იაკობ გოგებაშვილის შეხედულე-
ბით, ქართველობის შემადგენელ ტომთა აღრევა მომავალში ხელს
შეუწყობდა რასის გაუმჯობესებას).[4]

---

1 რანი ვიყავით გუშინ? იხ. კრებული „რანი ვიყავით გუშინ“. თბ., 1990, გვ. 216.

2 იქვე.

3 იქვე.

4 „ქართველთა ერის მოდგმის გაუმჯობესება“, იხ. იგივე კრებული, გვ. 239.

იაკობ გოგებაშვილი გამოკვეთავდა ეროვნული გრძნობის მნი-
შვნელობას, რაც, მისი აზრით, ეთანაბრებოდა მამულის სიყვა-
რულს.[1] საკუთრივ ქართველთა ეროვნული გრძნობა სუსტია, მაგ-
რამ მას უპირატესობაც გააჩნია, რადგანაც „სხვაგან ბევრგან ვხე-
დავთ პატრიოტებსა, რომელთაც უნდათ სხვის უბედურებაზედ
ააშენონ თავიანთი ქვეყნის ბედნიერება“[2]. თვალსაჩინოებისათვის
იაკობ გოგებაშვილს მოჰყონდა პრუსიელების, რუსებისა და ჩინე-
ლების მაგალითები. ქართველებში კი „პატრიოტობა სხვა თვისებე-
ბისა, სხვაგვარი ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნო-
ბას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა
ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი,
ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება“;[3]
„ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერე-
ბის მიღწევას წმინდა და სწორი გზით. იმ გზით, რომელიც სხვის
უბედურებაზედ არ არის გავლებული“.[4] ქართველთა მეორე თავი-
სებურება აღნიშნული თვალსაზრისით ის არის, რომ ქართველობას
არ სურს ძველის დაბრუნება, ახლის უარყოფა, როგორც ეს მიაჩ-
ნიათ სლავოფილებს.[5] იგივენაირი ნიშან-თვისება ახასიათებს, ია-
კობ გოგებაშვილის მიხედვით, ჩინელებს: „ეს ურიცხვი ხალხი ემო-
ნებოდა ძველ წესებს და ცოდოდ მიაჩნდა მათი შეცვლა“.[6]

ეი ასეთი ნიშან-თვისებების ერთობლიობად წარმოედგინა იაკობ
გოგებაშვილს ერი. კონკრეტულად ამ ნიშან-თვისებათა ერ-
თობლიობის მატარებლად მიაჩნდა ქართველობა, გერმანელები
(უკანასკნელთა მიმართ აღნიშნავდა ერთ ჩამომალობას, ერთ ენას,
ერთ კულტურასა და ლიტერატურას, „თავის ნაციონალურია ერ-
თობის ღრმად შეგნებას“).[7] მაგრამ იგი ძალიან ჯერდებოდა მხოლოდ
ერის ნიშან-თვისებების ჩამოთვლას, აქა-იქ ხსენებას. იგი იძულებული
მათი ცალკეული მხარეების უფრო გაღრმავებულ განხილვა-

მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი არ მიუთითებდა მხოლოდ

---

1 შინაური მიმოხილვა. იხ. კრებული „რანი ვიყავით გუშინ“, გვ. 189, 191.

2 იქვე, გვ. 192.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იაკობ გოგებაშვილი, ბუნების კარი, 21-ე გამ., 1912, გვ. 192—193.

6 იქვე, გვ. 629.

7 იქვე, გვ. 614.

ენის საკომუნიკაციო მნიშვნელობას და ცდილობდა მის არსში ჩაწვდომას. იგი წერდა: „დიაღ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა“,[1] „სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან“.[2] ასე რომ, მოცემული ერის ენაში აისახება ბუნება (ფიზიკური), აგრეთვე ისტორია: „ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს“.[3] დიდი პედაგოგი და მამულიშვილი წერდა: „დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრალისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“;[4] „მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია“.[5]

ენის დაკარგვის შემთხვევაში, იაკობ გოგებაშვილის თანახმად, ერი კნინდება, გადაგვარებას განიცდის: „ეხლა წარმოიდგინეთ, რომ უცხო ენაზე უბნობს და დედა-ენა დავიწყებია არა კერძო პირსა, არამედ მთელს ხალხსა. რას ეგვანება იგი? არსებათა ხროვას, რომელნიც მხოლოდ ნახევრობით არიან მეტყველნი და სრულ ადამიანებად არ ჩაითვლებიან. რა ბედი მოელის ამისთანა ნახევარა ხალხს? დაქვეითება, გაღატაკება, დაცემა, აღმოფხვრა, გაქრობა“;[6] სხვა სიტყვებით, „ყოველს ერს, მეტადრე ისტორიულს, რომელმაც თავისი ენა ლიტერატურულ სიმაღლეზედ დააყენა, გადაბირება, უცხო ტომის გზაზედ დადგომა არამცთუ გადაასხვაფერებს, არამედ

[1] „კავკასიონში“, ცხადია, ნაგულისხმევია კავკასია.
[2] ბურჯი ეროვნებისა, გვ. 7.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 11.
[5] იქვე, გვ. 14.
[6] იქვე, გვ. 30.

შინაარსს დაუჭიანებს, ორწყალშუა გააჩერებს, თავისას ყველაფერს მოაკლებს, სხვისას ხეირიანად ვერაფერს ვერ შეათვისებინებს, გონებით დაამდაბლებს, ზნეობით დასცემს, ენას გაუღატაკებს, ლიტერატურას გაუფუჭებს, დოვლათს და დედულ-მამულს დააკარგვინებს, ბოგანოდ გადააქცევს და ბოლოს სრულიად აღგვის მას დედამიწის ზურგიდან შეუპოვრად“.[1]

ტერიტორიაც როდია მარტო locus standi (დგომის ადგილი), რომელიც მხოლოდ გარეგანი საფუძველია და ერის შინაგან, სულიერ კონსტიტუციაში რაიმე არსებით როლს არ თამაშობს. სულაც არა! იაკობ გოგებაშვილის თქმით, „ადამიანის სხვადასხვა თესლთა შორის იმდენივე განსხვავებაა, რამდენიც სხვადასხვა ქვეყნების ბუნებათა შორის“;[2] „დიაღ, დიდი მჭიდრო კავშირით არიან შეხორცებულნი ერთმანეთთან სამშობლო ქვეყანა და მისნი მკვიდრნი. ეს კავშირი მით უფრო ძლიერია და მტკიცე, რამდენიც უფრო დიდ ხანს სცხოვრობს ხალხი ერთსა და იმავე მიწა-წყალზე“.[3] ნაოქვამი მშვენივრად ცხადდება ქართველობის მაგალითზე: „დედამიწაზე ძლიერ ძნელად მოიპოვება იმისთანა კუთხე, სადაც მიწა-წყალი და მისნი მცხოვრებნი ისე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებულნი, როგორც ეს არის ჩვენს სამშობლო ქვეყანაში. ქართველი სავსებით ფფურჩქნება სულიერად და ხორციელად მხოლოდ საქართველოში; მხოლოდ აქ მოძრაობს მისი სისხლი ჯეროვანი სისწრაფით, მხოლოდ აქ სარგებლობს იგი სრულ სისაღით, მხოლოდ აქ მრავლდება იგი დაუბრკოლებლივ, მხოლოდ აქ ბედნიერდება იგი საღი ჩამომავლობით, მხოლოდ აქ ეღირსება ხოლმე სრულს სიტკბოებას, მხოლოდ აქ შეჰხარის იგი სიცოცხლეს სრულ სიხარულით, იჩენს სრულს ხალისს სიცოცხლისას. უცხოეთში კი იგი საოცარი სისწრაფით იჩაგვრება სულითაც და ხორციოთაც, ჰჭკნება, უკან-უკან მიდის, გადაშენების და ამოფხვრის გზაზე სდგება“.[4] აღნიშნულის მიზეზი, იაკობ გოგებაშვილის მიხედვით,

[1] იხ. კრებული „რანი ვიყავით გუშინ“, გვ. 187.
[2] საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, იხ. კრებული „რანი ვიყავით გუშინ“, გვ. 236.
[3] იქვე.
[4] საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, დასახ. კრებული, გვ. 236.

ისაა რომ ქართველობა უსოვარი დროიდან ცხოვრობს საქართველოში.[1]

„მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ, იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა. თუ ერთ მხრივ იგი იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა“[2] — წერდა ჩვენი დიდი პედაგოგი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარეობს დასკვნა: „წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულ სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილს ტოტსა, რომელსაც გახმობა ვერ ასცდება“.[3] ქართველობა ამ საშიშროების წინაშე დადგა არა მხოლოდ ცარიზმის გაბატონებით, არამედ სომხური სავაჭრო და სავახშო კაპიტალის განვითარებით, რის წყალობითაც ქართველი თავადაზნაურობა მიწას ჰკარგავდა. კითხვაზე: — „რას გვსწავებს და რა სახელმძღვანელო აზრს გვაძლევს ნათქვამი?“ იაკობ გოგებაშვილი ასე პასუხობდა: — „იმას, რომ ქართველობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რათა სავსებით შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი. და არამც თუ შეინარჩუნოს, დაიბრუნოს ის ნაწილებიც ჩვენის ქვეყნისა, რომელნიც მათ ხელიდგან გამოაცალა დროთა უკულმართმა ტრიალმა“.[4]

ახლა ეროვნული ხასიათის თაობაზე შევჩერდებით. იაკობ გოგებაშვილი ხშირად ახასიათებდა სხვადასხვა ხალხს. დავიწყებთ ქართველებიდან. მისი დახასიათებით ქართველობა გულჩვილი, გულწრფელი, გრძნობიარე ხალხია,[5] ახასიათებს საბრძოლო მამაცობა, შეუპოვრობა.[6] მას აქვს თეორიული „ჭკუა“, „რაც სხვათა შორის, მკაფიო გამოხატულებას ჰპოვებს პოეტური შემოქმედების

1 საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, დასახ. კრებული, გვ. 238.

2 ქართული მიმართულება, კრებულში „რანი ვიყავით გუშინ“, გვ. 227.

3 იქვე, გვ. 277—228.

4 „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა“, დასახ. კრებულში, გვ. 238.

5 რანი ვიყავით გუშინ? დასახ. კრებულში, გვ. 154.

6 იქვე, გვ. 164.

დიდად ნიჭიერ ნაწარმოებებში“.[1] იგი შორსაა სხვა ხალხების ჩაგვრისაგან: „რაც მან (ქართველობამ — გ. ყ.) დედამიწის ზურგზე თავი შეისწავლა, მის დევიზად თავის დღეში არ ყოფილა ქელვა, დათრგუნვა, დაბრიყვება, დამონება, მიწასთან გასწორება რომელისამე ერისა“.[2] რასობრივადაც „ქართველები სილამაზით თავის სამშობლოს არ დაუვარდებიან“,[3] „ჩამომავლობით ქართველები უწარჩინებულესს — კავკასიის ტომს ეკუთვნიან და ნიჭიერ ხალხთა რიცხვში ურევიან“.[4] ისტორიულად, იაკობ გოგებაშვილის დაკვირვებით, „ქართველების ნაკლულევანებათა შორის ადგილი არა ჰქონდა იმ სიბრიყვეს, რომელიც პატივსა სცემს მხოლოდ უცნობელს და შორეულს და აბუჩად იჭერს ცნობილს და დაახლოვებულს“.[5]

მაგრამ 1801 წლიდან მოყოლებული, როდესაც საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრიობა დაჰკარგა, ქართველთა ეროვნულ ხასიათში ბევრი რამ შეიცვალა, ცხადია, უარყოფითი მხრივ. უპირველესად „დავტოვეთ თვითმოქმედება, მივეჩვიეთ სხვის იმედსა და მივეცენით თვლემასა და ძილსა“;[6] „დავუძლურდით, მივსუსტდით და უწინდელი ვაჟკაცური თვისებანიც თითქოს დაგვიჭკნა და მათ მაგიერ ჩვენში ჭაობის ბალახივით ამოხეთქეს დაბალთა, წვრილმანთა თვისებათა და დაამცირეს ჩვენი არსებობა“;[7] „დავადექით გადაბირების და გაფუქსავატების გზას“;[8] „ზრუნვა ჩვენს ქვეყანაზე სხვის ხელში ჩავაგდეთ“.[9] იაკობ გოგებაშვილის ფიქრით „ქართველები დიდი ზომით არა საქმეს არ აკეთებენ. თითქმის მარტო იმაზე ზრუნავენ, რომ შიმშილისა და სიცივისაგან როგორმე დაფარულნი იყვნენ, და არა სცდილობენ ხანგრძლივი შრომით, მხნეობით და ზომიერი ცხოვრებით ქონება და სიმდიდრე ბლომად შეიძინონ“;[10] „ქართველობა რომ უფრო მხნე და მომქმედი ხალხი იყოს, ეროს

1 დასახ. კრებული, გვ. 147.

2 იქვე, გვ. 183—184.

3 ბუნების კარი, 21-ე გამ., გვ. 429.

4 იქვე.

5 რანი ვიყავით გუშინ. დასახ. კრებული, გვ. 160.

6 იქვე, გვ. 285.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 186.

9 იქვე.

10 ბუნების კარი, გვ. 429.

წელიწადს თავისს დალოცვილს მიწას ბევრად მეტს მოსავალს მოაყვანინებდა";[1] მოუსაზრელობა და დაუდევრობა თავს იჩენს ყოფაშიც (საცხოვრებლის ტიპში)[2], ხოლო უცოდინარობა — მავნე ზნე-ჩვეულებებში[3].

ერთი სიტყვით, ქართველთა ბევრი ნაკლი, საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გარდა, გამოწვეული იყო ტრადიციული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით. თავის მხრივ, მსგავსი ნაკლოვანებანი დიდი დაბრკოლება გახდა ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებისათვის. დიდი პედაგოგი და ეროვნული მოღვაწე ერთ ახსნასაც იძლეოდა: „სხვა ენაზედ სწავლა-განათლებამ, სხვა ენის ფარფაშობამ ყველა სფეროში ამართა გაუვალი კედელი ხალხსა და ინტელიგენციას შორის, მოსპო მათ შუა ორივე მხრისათვის გამაცხოველებელი ზეგავლენა და დააყენა ხალხი გაველურებისა და ინტელიგენცია გაფუქსავატების გზაზედა".[4]

გარდა ზოგადად ქართველობისა, იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარში" გადმოსცემდა ცალკეული თემების (ისტორიული კუთხეების) მცხოვრებთა განმასხვავებელ ნიშან-თვისებებსაც. იგი წერდა: „თუმცა ნიჭიერებით იქითა და აქეთა ქართველები ერთმანეთს არ ჩამორჩებიან, მაგრამ განსხვავება ხასიათში კი ეტყობათ".[5] ცალკეული თემების მცხოვრებთა დახასიათებისას „ბუნების კარში" ნაჩვენებია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები.

როგორც დავინახეთ, ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე გულმხურვალე მომხრე იყო ქართველების დადებითი ნიშან-თვისებების წარმოჩენისა, ისტორიის ამაღლებულად წარმოდგენისა (რის გამოც მან ივანე ჯავახიშვილის წყრომა დაიმსახურა, იხილეთ უკანასკნელის „მამულიშვილობა და მეცნიერება"), მაგრამ, ამასთანავე, იგი არ გაურბოდა ბოლო პერიოდის ქართველობის უარყოფითი თვისებების აღნიშვნასაც, რაც მისაბაძია დღევანდელი მოაზროვნე, შევნებული ქართველობისათვის. დღესაც, ისევე როგორც იაკობ გო-

[1] ბუნების კარი, გვ. 430.
[2] იქვე, გვ. 433.
[3] იქვე, გვ. 435—436.
[4] იქვე, გვ. 421.
[5] განსხვავებულობანი ცალკეული თემების მცხოვრებთა ხასიათში გადმოცემულია „ბუნების კარის" 422-ე და 423-ე გვერდებზე.

გებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჟამს, ქართველობას გაჩნია, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშან-თვისებები და მხოლოდ ერთი რიგის თვისებების ხაზგასმა არასწორია.

ჩვენს მეზობელ სომხობაში იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა „კეთილგონივრულობით აღსავსე პრაქტიკულ ჭკუას", „თანდაყოლილ ვაჭრულ სულს", „შეუპოვრობას".[1] მის მიერ გერმანელები კი ასეა დახასიათებული: „განთქმულნი არიან თავისი პატიოსნებით. ყოველს საქმეს ერთგულად ეკიდებიან, ყოველს დანაპირებს პირნათლად ასრულებენ, ყველა საქონელს მკვიდრად აკეთებენ; სიყალბეს, მოტყუებას არ კადრულობენ და ამიტომ სრული ნდობა აქვთ დამსახურებული ყველასაგან".[2] ამასთანავე იაკობ გოგებაშვილი გახაზავდა „პრუსაკების" გულქვაობასაც".[3]

„ბუნების კარში" აღნიშნულია, რომ ფრანგები სიცოცხლით სავსე, მხიარული ხალხია, „რაც უნდა დიდი უბედურება ეწიოს ფრანგსა, იგი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდება, ხელებს ძირს არ ჩამოუშვებს, იმედს არ დაჰკარგავს, და შეუპოვრად ებრძვის ყოველ დაბრკოლებას, ვიდრე არ სძლევს მას".[4] ასევე აღნიშნულია ფრანგების ზრდილობიანობა, თავაზიანობა, რომ ისინი მოკლებული არიან შურიანობას, „პირიქით, რა სიკეთესაც თვითონ შეიძენენ, სურთ, რომ სხვებმაც იგი მოიპოვონ".[5] კერძოდ, „როდესაც ფრანგებმა სრული თავისუფლება დაამყარეს თავისს ქვეყანაში მეთვრამეტე საუკუნის გასულს, ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ სხვა ქვეყნებშიაც გამეფებულიყო თავისუფლება".[6] ფრანგების ნაკლად მითითებულია თავისთავის ქება, ტრაბახი.[7]

იტალიელების მიმართ აღნიშნულია სამხრეთული სიზანტე და დაუდევრობა, რაც თავის მხრივ მიზეზი იყო, იაკობ გოგებაშვილის აზრით, იტალიის ეკონომიკური ჩამორჩენილობისა.[8] ხაზგასმულია ამ

[1] იხ. კრებული, „რანი ვიყავით გუშინ", გვ. 146.
[2] ბუნების კარი, გვ. 515.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 619.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე.
[8] იქვე, გვ. 620.

ხალხის მიდრეკილება ხელოვნებისადმი.[1] ინგლისელები ფრიად ნიჭიერი და განათლებული ხალხია, ცალკეული ინგლისელი „ღრჭა ბუნების პატრონია და თავისი ჩამომავლობით და სამშობლოთი ამპარტავნობს“.[2] ინგლისელთა შორის დიდად ფასობს „გარეგანი რიგიანობა, შინაგანი სიფაქიზე, სულის ღირსეულობა“ (ჯენტლმენობა)[3]. „ბუნების კარში“ აღნიშნულია ინგლისელის ერთი კონკრეტული თვისება: „მას მაგდენ არაფრად მიაჩნია ის, თუ სხვა რა აზრისაა მასზე, ამიტომ სრულიადაც არ სცდილობს სხვას თავი მოაწონოს: სამაგიეროდ, დიდად აფასებს თავისს საკუთარს აზრს თავის პიროვნებაზე და ცდილობს დაიმსახუროს თავისი საკუთარი პატივისცემა. ამიტომ ერიდება ყოველს ცუდსა, რასაც კი შეუძლიან დაამცირეს იგი საკუთარს თვალში“.[4] ამერიკელთა (აშშ-ის მცხოვრებთა) მიმართ აღნიშნულია შემდეგი თვისებები: დაუღალავი შრომა, საარაკო გარჯილობა, მხნეობა, დროის დაფასება.[7] წიგნში ხაზგასმულია იაპონელთა ნიჭიერება,[6] ჩინელთა შრომისმოყვარეობა.[7]

ერის აღზევებულობა-დაცემულობაზეა დამოკიდებული თითოეული ინდივიდის თვისებებიც. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ანთეოზისავით ძლიერია მთელი ერი საზოგადოდ და ყოველი ადამიანი კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედა სდგას ეროვნულს ნიადაგზედ; ხოლო მასავით სუსტდება და იღუპება, როდესაც იგი შორდება ამ ნიადაგსა და სწყვეტს მასთან განმაცხოველებელ კავშირს“. ეროვნულ ნიადაგში კი იგულისხმება იმ პირობათა ერთობლიობა, რომელთაც უკვე მივუთითებდით.

დასასრულ, დავძენთ იმასაც, რომ იაკობ გოგებაშვილი აშკარად გამოკვეთავდა ერის დიდ ფასეულობას როგორც თავისთავად და ასევე ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში, ისე მთელი კაცობრიობისათვის. იგი. გავიმეორებთ, ასე წერდა: „...ერის გადაგვარება და გაქრობა მარტო მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს; იგი

[1] ბუხების კარი, გვ. 620.
[2] იქვე, გვ. 622—623.
[3] იქვე, გვ. 623—624.
[4] იქვე, გვ. 623.
[5] იქვე, გვ. 626.
[6] იქვე, გვ. 628.
[7] იქვე, გვ. 625.

ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისათვისაც, რომელსაც ამითი აკლდება ერთი თავისი ნაწილი ანუ წევრი, უშრება ერთი იმ წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფიო ზღვასა... შესწყდა რომელიმე ერის ხმა? გაღარიბდა კაცობრიობის ხოროს ჰარმონია, შესუსტდა მსოფლიო ღაღადისი, დანაკლულდა ზღვა თავისებურებისა, მოაკლდა ერთი თავისებური ლალი კაცობრიობის კულტურის დიდებულს სალაროსა“.[1]

როგორც დავინახეთ, ილიასა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე ფასეულია არა მხოლოდ იმ დროის თვალთახედვით, არამედ დღევანდელობისათვისაც. მათი ნააზრევი კარგად წარმოაჩენს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების იმდროინდელ მაღალ დონეს და თავის მხრივ სოლიდური საფუძველია ერის კონცეფციის შემდგომი (თანამედროვე პირობების შესაფერისად) კვლევა-ძიებისათვის.

3. აკაკი წერეთლის აზრები ერის შესახებ

როგორც ილიასა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებების თაობაზე შევნიშნავდით, მათ არ დაუტოვებიათ სპეციალური ნაშრომები ეროვნული საკითხის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ნაწერებში აშკარად გამოიკვეთა შესაბამისი თემატიკა. მათი ცალკეული გამონათქვამების თავმოყრით კარგად წარმოჩინდება საკითხის მათეული გაშუქება. იგივე ითქმის აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ნააზრევის შესახებაც. განსაკუთრებით უხვ მასალას იძლევა მათი პუბლიცისტური წერილები. ასე რომ, სამოციანელთა მიერ ეროვნული საკითხი ვრცლად, მონოგრაფიული სახით არ გაშუქებულა. ეს მოხერხდა არჩილ ჯორჯაძისა და განსაკუთრებით მიხაკო წერეთლის მიერ (მხედველობაში გვაქვს ამ უკანასკნელის „ერი და კაცობრიობა“, რომელიც 1910 წელს გამოიცა), რაც შესაბამისი აზრის კანონზომიერი ევოლუცია იყო.

აკაკის ერი წარმოედგინა შემდგომი ნიშან-თვისებების ერთობლიობად: „სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია, და ერთნაირი თავგადასავალი“[2] და იქვე დასძენდა: „ეს დღეს საანბანო ჭეშმარ-

[1] ბურჯი ეროვნებისა, გვ. 60.
[2] თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, გვ. 395.